საშაბათი

მაისი 7 1996

კავკასიონი

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი № 78 (372)

ფასი 40 თეთრი

შეხვედრები გაეროში

დამთავრდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში. დელეგაციის წევრებს შეხვედრები პქონდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ფინეთის, საფრანგეთის, რუსეთის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებზე განიხილავდნენ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისა და ამ პროცესში გაეროს როლის გააქტიურების საკითხებს.

BGI

ვლადისლავ არძინბას განცხადება

აფხაზეთის რადიოთი გამოსვლისას ვლადისლავ არძინბამ განაცხადა, რომ ალგეთის პოლიგონზე გამართული სამხედრო საჩვენებელი წვრთნა კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ხელისუფლების აგრესიულ განწყობას აფხაზეთის მიმართ.

იბჭრია

კრიმინალური ქრონიკა

სვანეთში კვლავ მძიმე კრიმინოგენული ვითარებაა

სვანეთი საქართველოში კრიმინოგენურად ყველაზე მძიმე რეგიონია. ბოლო ექვსი წლისწინადში აქ მოხდა 30-ზე მეტი მკვლელობა, რომელთაგან არცერთი არ გახსნილა! მას შემდეგ კი, რაც რესპუბლიკაში გაძლიერდა ბრძოლა დამნაშავეებთან, ბევრმა დამნაშავემ ამ მაღალმთიან რეგიონს შეაფარა თავი. ამის შესახებ იუწყება ზემო სვანეთის პოლიციის უფროსის მოადგილე სოსო გუნავა.

BGI

ბიგა გელაშვილმა მუცელი გადაიჭრა

საგამომძიებლო იზოლატორში მაშველთა კორპუსის ყოფილმა ხელმძღვანელმა გიგა გელაშვილმა მუცელი გადაიჭრა იმ მოტივით, რომ მის მიერ ოპერაციული ჩვენებები არ ემთხვეოდა დაითვალიერებულ ოქმებს. ბრალდებულმა მოითხოვა გენერალურ პროკურორთან შეხვედრა, მაგრამ მისი მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. შსს-ს პრეს-ცენტრში დადასტურა მომხდარი ფაქტი და განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში სეროიოზულ ტრავმასთან არა გვაქვს საქმე, ვინაიდან გიგა გელაშვილმა ჭრილობა ანგარეტის ფილტრის საშუალებით მიიღო. რაც შეეხება მისი პროტესტის ფაქტს, შსს-ს პრესცენტრის განმარტებით, ეს გამოიწვია გ.გელაშვილისთვის ბრალდებული ბრალდებების სიმძიმეზე. საგანგებოსთვის სხვა ოფიციალური წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ბანდიტიზმისა და მკვლელობის მუხლებთან დაკავშირებულ. გიგა გელაშვილის ამგვარი ბოროტქმედებაა სამშობლოს ღალატის ბრალდებამ გამოიწვია, რასაც იგი კატეგორიულად უარყოფს.

"ომეგას" ყოფილი უფროსი აგრძელებს შიმშილობას

საქართველოს უშიშროების სამსახურის სპეცრაზმ „ომეგას" ყოფილი უფროსი, 22 წლის ნიკა კვეზერელი, რომელმაც „ომეგას" სხვა წევრებთან ერთად აშშ-ში გაიარა სწავლება, აგრძელებს საპროტესტო შიმშილობას. იგი 1995 წლის 17 სექტემბერს დააკავეს სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტების ბრალდებით, 1996 წლის 1 მაისს კი, როგორც კვეზერელის ადვოკატმა აღნიშნა, ყოველგვარი დაპირისპირებისა და სამხილის გარეშე სამშობლოს ღალატსა და ადამიანის გატაცებაში დასდეს ბრალი. ამასთან დაკავშირებით კვეზერელი უვადო შიმშილობას აგრძელებს, სანამ არ დაკმაყოფილდება მისი სამი მოთხოვნა: 1. შეხვედრა პენიტენციალური რეფორმებისა და მსჯავრდებულთა საკითხების საპარლამენტო ჭვეკომიტეტის თავმჯდომარესთან, დეპუტატ ელენე თევდორაძესთან; 2. დაპირისპირების მოთხოვნა იმ პირებთან, რომლებიც ამხელენ მას დანაშაულში; 3. ატაბრობის შეცვლა ქალაქიდან გაუსვლელობის ხელწერილით.

ნ.კვეზერელის პირველი მოთხოვნა 4 მაისს დაკმაყოფილდა. როგორც საგანგებო კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, მეორე მოთხოვნას უახლოეს დღეებში დაკმაყოფილებენ.

იფრინდა

არმია

ქართული ჯარის დათვალიერება ალგეთის პოლიგონზე



საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესი თავიდანვე რთულად წარიმართა. ქართული ჯარი, ფაქტობრივად, შინაომებსა და სეპარატისტებთან ბრძოლებში ჩამოყალიბდა. სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებები არ ემორჩილებოდნენ ერთიან ხელმძღვანელობას. მოშლილი იყო დისციპლინა, არ არსებობდა სამხედრო მშენებლობის არც ერთიანი გეგმა, არც კონცეფცია, არც თანამედროვე შეიარაღება. ყოველივე ამან განაპირობა არა მხოლოდ სამხედრო წარუმატებლობა, არამედ ჯარისადმი მოსახლეობის ნდობის დაკარგვაც.

ბოლო ორი წლის განმავლობაში, რაც საქართველოში მშვიდობა დამყარდა, ქართული ჯარის მშენებლობისთვის შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა. პრობლემები, რა თქმა უნდა, უამრავია, თუმცა, გარკვეული წინსვლა მაინც იგრძნობა. კრიტიკოსები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არ მოპკლებია და, ალბათ, სამართლიანადაც, ოღონდ შექმნილი მდგომარეობის ცალმხრივად შეფასება მაინც არ შეიძლება. ოთხ მაისს ალგეთის სასწავლო ბაზაზე მოეწყო საჩვენებელი ტაქტიკური წვრთნა, რომლის მიზანი ქართულ ჯარში ამჟამად არსებული მდგომარეობის დათვალიერება იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ალგეთის სასწავლო ბაზა ერთადერთი პოლიგონია, სადაც ქართულ ჯარს შეუძლია საველე პირობებში მოეშზადოს. მეთერთმეტე მოტომსროლელი ბრიგადა,

გაგრძელება მე 2 გვ.

სკანდალი

შპიონაჟი ინგლისელთა „სასარგებლოდ"

გუშინ რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ნივთიერი სამხილით შეიპყრეს რუსეთის ჯერჯერობით უცნობი მოქალაქე, რომელსაც ინგლისის დაზვერვასთან თანამშრომლობაში ედება ბრალი. დაკითხვისას მან აღიარა ჯაშუშობის ფაქტი და დანერილებით მოპყვა იმის შესახებ, თუ როგორ გადაიბირა ინგლისის სადაზვერვო სამსახურმა. ამასთან დაკავშირებით, გუშინვე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განუცხადა მოსკოვში ინგლისის ელჩს.

ზოგიერთი წყაროს ინფორმაციით, რუსეთის მხარე „პერსონა ნონ გრატად" გამოაცხადებს ოთხ ინგლისელ მზვერავს, რომლებიც ინგლისის საელჩოში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობენ.

რუსეთში ინგლისის საელჩო და ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ჯერჯერობით, თავს იკავებენ აღნიშნული ფაქტის კომენტარისგან.

ჩეჩნეთი

შალიში მხოლოდ პასპორტებს ამოწმებენ?

ჩეჩნების სამხედრო ფორმირებების შტაბის უფროსი ასლან მასხადოვი მზადაა მოლაპარაკება ანარმოოს ფედერალური ჯარების ხელმძღვანელობასთან. გუშინ იტარ-ტასის კორესპონდენტთან საუბარში მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ამ კონტაქტებს უფრო სამხედრო ხასიათი უნდა პქონდეს, ვიდრე პოლიტიკური. მასხადოვის თქმით, სამხედროებს შორის მოლაპარაკებების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს სამ ძირითად საკითხზე: 1. რუსეთის ჯარების იმ ნაწილების უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც ჩეჩნეთიდან უნდა გავიდნენ. 2. სამხედრო ტყვეების გაცვლა. 3. რესპუბლიკაში რეალური სამშვიდობო ზონების შექმნა.

გაგრძელება მე 2 გვ.

ინტერვიუ

თემურ ბასილია:
ეს წმინდა პოლიტიკური სპექტაკლია. შადმან ვალავისთან ბიზნესმენების შეხვედრა კი — ერთ-ერთი სცენა ამ სპექტაკლიდან

საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო განკში მწვავედ დგას საკითხი, გაგრძელდეს თუ არა საქართველოსთან თანამშრომლობა, ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების დარგში თემურ ბასილიამ. მისი თქმით, პარლამენტში ქართველი ბიზნესმენების შეხვედრა სავალუტო ფონდის წარმომადგენელ მუჰამედ შადმან-ვალავისთან (ამ სკანდალური შეხვედრის დეტალებზე, რომლის დროსაც ქართველმა ბიზნესმენებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს დარბაზი, ჩვენ უკვე ვიუწყებოდით) წინასწარ დადგმული სპექტაკლი იყო: იგი მოანწყეს იმ ძალებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დსთ-ს საბაჟო კავშირში შესვლით, რაც ეწინააღმდეგება სავალუტო ფონდის კურსს.

როგორ კომენტარს გაუკეთებდით ამ შეხვედრას?

— რომ შევეფასოთ სავალუტო ფონდის როლი საქართველოში ეკონომიკური რეფორმების გატარების საქმეში, უნდა შევადაროთ, როგორი იყო ჩვენი ქვეყანა იმ დროს, როცა ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები შემოვიდნენ და რა მდგომარეობაა დღეს. სრულიად არასწორია საერთაშორისო სავალუტო ფონდი დავადანაშაულოთ იმ სიძნელეებში, რომელიც ჩვენს ბიზნესში არსებობს.

გაგრძელება მე 2 გვ.

განათლება

გამოცდები სკოლაში ფასიანია

საქართველოს პრეზიდენტის ადგილობრივი მმართველობისა და რეგიონალური პოლიტიკის საკითხებისაცვის სამსახურის ცნობით, თბილისის მერიის საქალაქო კოლეგიამ ცვლილებები შეიტანა „ქალაქ წლის 25 ივნისის" კოლეგიის გადაწყვეტილებაში" სრული და არასრული საშუალო სკოლის „ესტერის წესით გამოცდების ჩატარებისა და ანაზღაურების თაობაზე". ძალაში დარჩა შეღავათები საბაჩაბლისა და ოჯახების კონფლიქტებში მოხვედრილ მეორეების შვილების, ლტოლვილებისა და ობოლი ახალგაზრდების მიმართ.

დაწესდა ფასიანი მოშახურება ექსტერნის წესით გამოცდების მოშზადებისა და ჩატარებისთვის. პირველი საფეხურის სკოლის კურსზე გამოცდებისა და კონსულტაციებისთვის განისაზღვრა 28.5 ლარი. მეორე საფეხურის სკოლის კურსზე — 50 ლარი. მესამე საფეხურის სკოლის კურსზე — 60 ლარი.

ფფრინდა

მსოფლიო

ეგვიპტეში, მოლაპარაკებებზე...

ეგვიპტეში დაიწყო ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებები კონფლიქტის საბოლოო მოგვარების მიზნით. ადრე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მოლაპარაკების პროცესი 1999 წლის მაისამდე გაგრძელდება. ახლანდელ შეხვედრა ითვალისწინებს ისეთი რთული საკითხების განხილვას, როგორიცაა იერუსალიმის სტატუსის პრობლემა, ებრაელი მოსახლეობის ბედი, ლტოლვილებისა და ემიგრანტების თავისთან საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნება, საზღვრების უსაფრთხოება და ა.შ.

რეფერენდუმი გერმანიაში

ცნობილი გახდა გერმანიაში ჩატარებული რეფერენდუმის წინასწარი შედეგები, რომელიც ბერლინისა და ბრანდენბურგის მიწას გაერთიანებას შეეხებოდა. პირველი მოსაკითხმა მოწმობს, რომ ასეთი გაერთიანება არ შედგება, რადგან პოლიტიკოსთა ინიციატივას მართალია, ბერლინელთა დიდი ნაწილი ეგებით შეხვდა, მაგრამ ბრანდენბურგელთა უმეტესობამ უარყოფითი შეფასება მისცა მას.

ამ უკანასკნელთა აზრით, ასეთი გაერთიანება გდრ-ის ეპოქის დაბრუნებას მოასწავებს, როცა დედაქალაქი მის გარშემო მდებარე რეგიონების ხარჯზე ცხოვრობდა.

სეპარატიზმის აჩრდილი იტალიაში

იტალიის პრეზიდენტმა ოსკარ ლუიჯი სკალფარომ გააკრიტიკა „ჩრდილოეთის ლიგის" ლიდერის უმბერტო ბოსის მოთხოვნა, რომ იტალიის მმართველ ძალად ჩრდილოეთი იქცეს. სკალფარომ დაფინანსი განაცხადა, რომ იტალიის ერთიანობა შენარჩუნებული უნდა.

ბოსის სხვა მოსაზრებებმაც ("ჩრდილოეთმა უნდა შექმნას საკუთარი მთავრობა"), უკმაყოფილების ქარიშხალი გამოიწვია, რეაქცია ამ ფაქტზე, როგორც პრესის, ისე პოლიტიკოსთა მხრიდან, ალბათ, ცალმხრივია — უარყოფითი!

არჩევნები, არჩევნები...

აქცია სათათბიროს წინ

გუშინ დილით რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს შენობის წინ შეიკრიბნენ საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული ძალების გაერთიანების მომხრეები. მათ შორის იყვნენ ელცინის, იავლინსკისა და ლებედის მხარდამჭერნი. მოძიკენეებმა, ძირითადად ხანშიშესულმა ადამიანებმა, გაავრცელეს სხვადასხვა განცხადებები და გაზეთები. „ჩვენ გამოცდილება და მეხსიერება გვკარნახობს გავაკეთოთ ყველაფერი, რათა აღარ განმეორდეს წარსული", აღნიშნავდნენ ისინი.

ჟირინოვსკი სანკტ-პეტერბურგში

რუსეთის ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, რომელიც გუშინ წინასწარჩენო პროგრამის ფარგლებში პეტერბურგში ჩავიდა, ლაბის თეთრმფრინავის ტრაპიდან გაავლია განცხადება, რომ 16 ივნისს რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები არ შედგება, მოგვიანებით კი დაასრულა: „გენერალ კორჟაკოვის გასცხადება არჩევნების გადატანის აუცილებლობის შესახებ არ შეიძლება ჩათვალოს მხოლოდ კერძო მოსაზრებად". კიდევ ერთი ცნობა პეტერბურგში გამართულ მიტინგზე ჟირინოვსკის გამოსვლიდან: „ისინი ჩაშლიან არჩევნებს. ზიუგანოვი, ლებედი, ფედოროვი, იავლინსკი მოელაპარაკებიან ელცინს. პარლამენტში ასეთ ფრაქციები ხმას მისცემენ არჩევნების გადატანას. არის მეორე ვარიანტიც ითხოვენენ ზიუგანოვს, მოხსნას თავისი კანდიდატურა".

ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ თავიანთი ბელადის ჩახვლასთან დაკავშირებულ ორგანიზებულ მიტინგზე ჟირინოვსკი თითქმის ნახევარსაათიან გამოსვლაში არწმუნებდა პეტერბურგელებს, რომ მათ აღარ უნდა გაიმეორონ დეკემბრის არჩევნებში დაშვებული შეცდომა. მაშინ მათ დემოკრატებს მისცეს ხმა, ახლა კი, ჟირინოვსკის აზრით, მხარი უნდა დაუჭირონ ერთადერთ „მოუსყიდველ" პარტიას ლიბერალ-დემოკრატიულს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჟირინოვსკის მეზობლებმა საკმაოდ ინდიფერენტულად შეხვდნენ. სხვა შეხვედრა ქალაქის საზოგადოებრიობასთან, ჟირინოვსკის პროგრამით, დაგეგმილი არ ყოფილა. დღის მეორე ნახევარში მან, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა, ადგილობრივი ტელევიზიის ნახევარი საათი დაუთმო.

საპრეზიდენტო „რალი" გრძელდება

საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ პრეზიდენტი ბორის ელცინი საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში უკვე დაეწია და ზოგიერთი მონაცემით უსწრებს კიდეც კომუნისტთა ლიდერს გენადი ზიუგანოვს. მიმოხილველთა აზრით, ელცინმა დიდი ხვეობა სწორი პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმით დაფარა: მან წარმატებას ჩეჩნეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე შემუშავებული პროგრამით მიაღწია.

რუსეთის დღევანდელ ლიდერს კვირას მოლაპარაკება ჰქონდა ლიბერალ ეკონომისტ იავლინსკისთან, რომელიც 7 პროცენტით ჩამორჩება მას და გასახილა მასთან კოალიციის შექმნის შესაძლებლობები ელცინს სურს კომუნისტთა ლიდერის წინააღმდეგ გაერთიანდეს იავლინსკისთან. თავად ზიუგანოვი კი ეჭვს გამოთქვამს, რომ 16 ივნისისთვის დაგეგმილ არჩევნებში რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი წარმატებას მოიპოვებს.

არჩევნების შემდეგ

ალჟირის პრეზიდენტი ძალადობის წინააღმდეგ

ალჟირის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საყოველთაო არჩევნების მომავალ წელს ჩატარებასთან დაკავშირებით დაგეგმილი აქვს პოლიტიკური პარტიათა ლიდერებთან მოლაპარაკებების გამართვა.

მისი არჩევის შემდეგ გამართულ პირველ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ სურს რეფერენდუმის გამართვა კონსტიტუციაში როგი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

ალჟირის პრეზიდენტმა საკუთარი გეგმების შესახებ კვირას ისაუბრა, ესე იგი ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის დაცხრილვიდან ერთი დღის შემდეგ. ალჟირში გასულ შაბათს განხორციელებულ ტერორისტულ აქტს სხვა მსხვერპლიც მოჰყვა — დაიღუპა ორი და დაშავდა 14 ადამიანი.

პრეზიდენტმა დაგმო ძალადობა და განაცხადა, რომ მიმდინარეობს მუშაობა მდგომარეობის გამოსასწორებლად. მან ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანას ესაჭიროება ჭეშმარიტი პოლიტიკური ერთიანობა, რათა ბოლო მოეღოს ძალადობის თარეშს.

ასნარი — სტარტზე

ესპანეთის ახლადარჩეულმა პრემიერმინისტრმა ხოსე მარია ასნარმა გამოაცხადა სახალხო პარტიის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული მთავრობის შემადგენლობა. გუშინ ოფიციალურად დამტკიცდა მისი კაბინეტი, რითაც ორი თვის წინ ჩატარებული არჩევნების შემდეგ სოციალისტთა ხელისუფლება კონსერვატორების ხელში გადავიდა. ესპანეთის ლიდერი პირობას აძლევს ხალხს, რომ მის მიერ დანიშნული მთავრობა ყველა ეკონომიკურ პრობლემას გადაჭრის და ქვეყნის ეკონომიკას ევროპის საერთო ბაზრის ღირსეული წევრობისთვის მოამზადებს. სახალხო პარტიის ეკონომიკური საკითხების წარმომადგენელი როდრიგო რალტა ეკონომიკის მინისტრად დანიშნეს, ხოლო ყოფილი ევროკომისიის წევრი კი ახლა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს.

კაბინეტში ოთხი ქალია, რაც ყველაზე დიდი ციფრია ესპანეთის ისტორიაში.

ასნარი ცდილობს, ზედმიწევნით შეასრულოს ყველა წინასაარჩევნო დაპირება და დასახულ პროგრამას ყოველი დეტალის პუნქტუალური დაცვით მისდიოს. მან, წინა მთავრობასთან შედარებით, კაბინეტი ერთი მინისტრით შეამცირა. გუშინ ახალი კაბინეტის წარმომადგენელი 14 მინისტრი მეფე ხუან კარლოსის წინაშე წარსდგა და ქვეყნის ერთგულების ფიცი დადო.

ესპანეთის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. კონსერვატორები დიდ დაპირებებს იძლევიან რეალურ შედეგებს კი მომავალი გვიჩვენებს. ისე, ასნარის პირველი გამარჯვებები — კატალონელთა და კანარის კუნძულის კოალიციის მის მხარეზე გადაყვანა — ალბათ, მის პოლიტიკურ კარიერაში წინგადადგმულ, წარმატებულ ნაბიჯად ჩაითვლება.

ენერგეტიკა

«ამერიდან ენერგეტიკა პრივილეგირებულ დარგად გამოცხადდება»

6 მაისს, თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჩატარდა თათბირი ენერგეტიკის პრობლემების და განვითარების პერსპექტივების შესახებ.

თათბირს ესწრებოდნენ — საქართველოს პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი, თბილისის მერი, სათბობ-ენერგეტიკული კორპორაციის თავმჯდომარე, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე, ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, „საქენერგოს", ენერგოსისტემის წამყვანი რგოლების ხელმძღვანელები, მეცნიერებათა აკადემიის წევრები, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე.

შეხვედრაზე გამოიმსჯელეს ენერგეტიკის ძირითად გამომწვევ მიზეზებად დასახელეს: დარგის ძმიმე ფინანსური მდგომარეობა, მოსახლეობის გადახდის უუნარობა, ელექტროენერგიის გამოიყენებისა და მოხმარებაში ბალანსის დარღვევა, რესპუბლიკისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების.

აღინიშნა, რომ აუცილებელია: ქვეყნის ენერგოსისტემის ახლო უცხოეთის ქვეყნების სისტემაში ინტეგრაცია, ხარჯდაზოგვადობის გამო ამორტიზებული დანადგარების ჩამოწერა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ხადგურების ძრავების, გარე ინვესტიციების მოზიდვა, ინფრასტრუქტურის რესტრუქტურიზაცია, ადგილობრივი იმპორტირებული ინტენსიური დამუშავება-გამოყენება. ცალსახად ითქვა, რომ აუცილებელია მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენა, რომელიც მკვეთრად შეამცირებს გათბობის და საკვების მოშზადების მიზ-

გაგრძელება მე 2 გვ.

ნომერშია

ყველაზე ცნობილი დიზაინერები

ისინი მილიარდებს ატრიალებენ. მათი პროდუქციის მომხმარებელი მთელი მსოფლიოა. რა განაპირობებს მათ ასეთ წარმეტებას ან ვინ არიან ისინი

იხილეთ მე—3 გვ.

არმია

ქართული ჯარის დათვალიერება ალგეთის პოლიგონზე

პირველი გვერდიდან

რომელსაც გენერალ-მაიორი ვალერი ქვარაია მეთაურობს, უკვე ორი თვეა საველე პირობებში იმყოფება. პირობები, რა თქმა უნდა, იდეალური არ არის, თუმცა, ჩვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. წვრთნაში მონაწილეობდა მძიმე ტექნიკა, არტილერია, ავიაცია. აქვე საველე პირობებში იმყოფებოდა ქუთაისის სამხედრო საველე პოსპიტალი და პოლკის სამედიცინო პუნქტი. სხვადასხვა სახის შენაერთების შეთანხმებული ურთიერთმოქმედება იყო წვრთნის ერთ-ერთი მიზანი და, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ბრიგადამ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

როგორც ითქვა, საველე პოსპიტალში ამ ხნის განმავლობაში ოთხი სხვადასხვა სირთულის ოპერაცია ჩაუტარებიათ. მათ შორის, ერთი ჯარისკაცი, რომელიც ჰუმთხვევითი ტყვიით იყო დაჭრილი, გარდაიცვალა. როგორც ექიმებმა აღნიშნეს, მას დროულად გაუკეთდა ოპერაცია და თბილისში გადაიყვანეს, მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა. რაც შეეხება ჰოსპიტლის მომარაგებას, პერსონალის თქმით, ძალიან უჭირთ წამლები. თუკი სხვაგან ჰუმანიტარული წამლები მაინც მისდით, სამხედროებს იმასაც არ გვიგზავნიანო, — დაიჩივლეს მათ. მთლიანად, წვალების პერიოდში, ჰოსპიტალსა და სამედიცინო პუნქტს დახმარებისთვის შვიდასამდე ჯარისკაცმა მიაკითხა.

წვრთნის პერიოდში მოეწყო სამხედრო ტექნიკის დათვალიერებაც. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო, რომ აქ წარმოადგინეს თბილისის საავიაციო გაერთიანებაში დამზადებული ყუმბარმტყორცნი და ოთხმოცდაორმილიმეტრიანი ნაღმმტყორცნი. როგორც გაერთიანების დირექტორმა, ბატონმა ავთანდილ ხოფერიამ განაცხადა, ქარხანა მალე დაიწყებს ასეული ტიპის ორმოცმილიმეტრიანი ყუმბარმტყორცნებისა და ასოცმილიმეტრიანი ნაღმმტყორცნების გამოშვებას, გათვალისწინებულია სხვა საბრძოლო იარაღების ათვისებაც.

საჭვენებელი წვრთნის დროს მეთერთმეტე ბრიგადის პირველმა ასეულმა მოახდინა „მონინააღმდეგის გამაგრებული" პოზიციის არტილერიის, ავიაციისა და მძიმე ტექნიკის დახმარებით „აღების", ვერტმფრენებიდან დესანტის გადმოსხმისა და ტყვეების აყვანის, დესანტის ევაკუაციისა და ასეული ლარი დაჯდა. ასეთ პირობებში, ჩვენი მწირი ბიუჯეტის ფარგლებში, ძალიან ძნელია ჯარის მაღალპროფესიულ დონეზე განვრთნა. საკმარისია ითქვას, იმისთვის რომ სამხედრო მფრინავმა საბრძოლო ფორმის შენარჩუნება შეძლოს, წელიწადში დაახლოებით 300-400 საათი უნდა იფრინოს, ჩვენი მფრინავები კი, ფინანსური პრობლემების გამო, იშვიათად თუ ახერხებენ პაერში „ასვლას" და საწვრთნელი ფრენის ჩატარებას. მიუხედავად ამისა, სწავლებაში მონაწილე სუ-25-ის ეკიპაჟებმა, რომლებსაც საპაერო ჯარების სარდალი, პოლკოვნიკი ვალერი ნაყოფია მეთაურობდა, საკმაოდ კარგი მომზადება აჩვენეს.

საკმაოდ ძნელია ერთი წვრთნის შედეგებით არტილერიის შეფასება, თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის დროს ქართულ ჯარში სწორედ არტილერია იყო ყველაზე პროფესიული ნაწილი, მათი პროფესიონალიზმი, ალბათ, ახლაც სათანადო სიმაღლეზე იქნება.

როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილემ შეიარაღების დარგში, გენერალ-მაიორმა ვანო გურგენიძემ განაცხადა, ამჟამად ქართულ ჯარს საკმარისად აქვს თანამედროვე ტანკები და ჯავშანტექნიკა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ტანკებში, ძირითადად, რუსული ტ-72 მოდელის ტანკები იგულისხმება, უფრო თანამედროვე მოდელები კი ჩვენს შეიარაღებაში ნაკლებად მოიპოვება.

ქართული ჯარის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის არარსებობაც არის. ეს არ არის მხოლოდ სამხედრო უწყების დანაშაული, ამ საქმიანობაში უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულონ საინფორმაციო საშუალებებმაც, განათლების სამინისტრომაც და პარლამენტის შესაბამისმა კომიტეტებმაც.

კიდევ ერთი პრობლემა, რაც საბოლოოდ, შეიძლება, ყველაზე მტკივნეული აღმოჩნდეს: ქართული ჯარი რუსული სტანდარტებით შენდება, თანაც არა მისი საუკეთესო მახასიათებლების, არამედ, საშუალო დონის რუსული ჯარის მიხედვით. ბოლო პერიოდში კი არაერთხელ გამოჩნდა, რომ თანამედროვე რუსული ჯარის ბრძოლისუნარიანობა და განვრთნილობა საკმაოდ დაბალი დონისაა. ამდენად, ურიგო არ იქნება, თუ ქართული არმიის მშენებლობაში დასავლური გამოცდილებაც იქნება გაზიარებული. რეზერვები ამ მიმართულებით არსებობს, კერძოდ, უფრო წარმატებით შეიძლება დასავლეთის დაინტერესების გამოყენება.

მიუხედავად პრობლემებისა, თუკი მეთერთმეტე ბრიგადის მაგალითზე ვიმსჯელებთ, ქართული ჯარის ჩამოყალიბებაში გარკვეული წარმატებები მიღწეულია. მეთერთმეტე ბრიგადის მომზადებაში დიდი დამსახურება თვითონ ბრიგადის მეთაურს, გენერალ-მაიორ ვალერი ქვარაიას მიუძღვის. ჯერ კიდევ სენაკში, მეორე ბრიგადის მეთაურად ყოფნის დროს შეინიშნებოდა, რომ თითქმის ცარიელი ხელებით, მხოლოდ უდიდესი მონდომებისა და ენთუზიაზმის წყალობით ბრიგადაში დამყარებული იყო დისციპლინა, შეძლებისდაგვარად წესრიგში იყო სამხედრო ტექნიკა, იგრძნობოდა, რომ თავის საქმეს ყველა პასუხისმგებლობით ეკიდებოდა.

ქართული ჯარის მშენებლობა დაიწყო. პრობლემები, ვიმეორებ, უამრავია. თუ როგორი არმია გვეყოლება ხვალ, ეს არა მხოლოდ გენერალიტეტზე, არამედ, თითოეულ ჩვენთაგანზეცაა დამოკიდებული.

სოზარ სუბელიანი

ინტერვიუ

თემურ ბასილია:
ეს წმინდა პოლიტიკური სპექტაკლია, შადმან ვალავისთან ბიზნესმენების შეხვედრა კი — ერთ-ერთი სცენა ამ სპექტაკლიდან

პირველი გვერდიდან

— ალბათ, უკეთესია ფაქტების მოყვანა?

— რა თქმა უნდა. 1992-93 წლებში საქართველოს ეკონომიკა კატასტროფის წინაშე იდგა. წარმოების მოცულობა ყოველდღიურად ეცემოდა. ინფლაციის ტემპი წელიწადში 8500 პროცენტს შეადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები თითებზე ჩამოსათვლელია. 1994 წლიდან დაიწყო ჩვენი აქტიური თანამშრომლობა საგალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან.

— რა გაკეთდა?

— მათი დახმარებით შემუშავდა ეკონომიკის სტაბილიზაციის პროგრამა. პირველ რიგში საჭირო იყო წესრიგის დამყარება საფინანსო და საბიუჯეტო სფეროებში. მნიშვნელოვან ღონისძიების წარმოადგენდა კომერციული ბანკების საკორესპონდენციო ანგარიშების ეროვნულ ბანკში გადატანა. გრანდიოზული და მსოფლიო პრაქტიკაში უპრეცედენტო იყო ფულადი რეფორმა. 1995 წელს ჩვენ პირველად მივიღეთ დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

— საქართველოს ეკონომიკურ კრიზისი გადალახა. ნიშნავს თუ არა, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების დამსახურებაა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ და საქართველოს პრეზიდენტის დამსახურებაა. სწორედ სახელმწიფოს მეთაურის მიერ 1994 წლის 7 თებერვალს დამტკიცებული ანტიკრიზისული პროგრამა დაედო საფუძვლად მოლაპარაკებებს საქართველოსა და საგალუტო ფონდს შორის. მაგრამ საგალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარება მხოლოდ რეკომენდაციებით არ ამთავრება. ჩვენ მივიღეთ აგრეთვე უსარგებლო ფული.

— შეგიძლიათ დაასახელოთ თანხა?

— საგალუტო ფონდის კრედიტები: STF - 84 მილიონი დოლარი, STAND by - 113 მილიონი დოლარი. ESAF-ის პროგრამა, რომლის განხორციელებაც ჯერ დავიწყეთ — 246 მილიონი დოლარი. მსოფლიო ბანკის კრედიტები 194 მილიონ დოლარს შეადგენს. წლის ბოლოსთვის ეს თანხა 250 მილიონ დოლარს მიაღწევს.

— ეს - კრედიტები. სხვა რა სახის დახმარება იქნა გაწეული?

— გავიხსენოთ, რომ სწორედ საგალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი იყვნენ პარიზში დონორ ქვეყნებთან საქართველოს შეხვედრის ინიციატორები, რას შედეგადაც მიღებულ იქნა დაზღვევითი დახმარება. თუ ყველა ამ ციფრს შევაჯამებთ, თანხა მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ საგალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებიათ — ელემენტარული უმადურობაა.

— შადმან-ვალავის შეხვედრაზე ხაზი გაუსვა, რომ საგალუტო ფონდი ამა თუ იმ ქვეყანას ეხმარება მხოლოდ ამ შემთხვევაში, თუ სრულდება მისი რეკომენდაციები. მეწარმეებმა ეს აღიქვეს, როგორც დიქტატი საგალუტო ფონდის მხრიდან. არსებობს კი ასეთი დიქტატი?

— არავითარი დიქტატი არ არსებობს. საგალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს მოღვაწეობის თავისი პრინციპები აქვთ, რომელსაც არასოდეს არღვევენ. და თუ დღეს საქართველოს გააჩნია რაღაც დადებითი იმიჯი, ამაში დიდია ამ საერთაშორისო ორგანიზაციების წვლილი. სწორედ საქართველოს ურთიერთობა საგალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან არის იმის გარანტია, რომ ქვეყანაში შესაძლებელი იყოს ბიზნესის წარმოება.

— ლუდის ქარხანა „ყაზბეგის" დირექტორმა გოგი თოფაძემ განაცხადა, რომ საგალუტო ფონდის რეკომენდაციები, შესაძლოა, ცუდი არ არის, მაგრამ ადგილზე მისი განხორციელება ეჭვს იწვევს და ლუპავს ბიზნესს. რას იტყოდით ამის თაობაზე?

— საგალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი ყოველკვარტალურად ამოწმებენ თავის პროგრამებს. თუ შემოწმების შედეგები მათ არ დააკმაყოფილებდათ, ისინი შეწყვეტდნენ ჩვენთან თანამშრომლობას. ჯერ საკითხი ასე არ დგას. ამიტომ მე არ მესმის, საიდან აქვს ბატონ თოფაძეს ასეთი მოსაზრებები. ფაქტები სხვაზე მეტყველებენ.

— იმავე გოგი თოფაძემ ასეთი ეჭვიც გამოთქვა: „ნამდვილად საგალუტო ფონდის რეკომენდაციით გაიზარდა კი 200 პროცენტამდე აქციზები ლუდსა და თამბაქოს ნაწარმზე. როგორც ამას ერთ-ერთი გაელენიანი ქართველი ჩინოვნიკი ამტკიცებს". თქვენ ხომ არ ეყნდით თოფაძეს მხედველობაში?

— ძნელი სათქმელია, ვის გულისხმობდა ის. მაგრამ რამდენადაც ეკონომიკური რეფორმების პროგრამა ასოცირდება თემურ ბასილიასთან, ყოველივე ნეგატიურიც მე მომეწერება. როცა დადებითი მაგალითები მოყავთ — ყველა „ადგილზეა", ყველა მისი მონაწილეა.

— თქვენ მრავალი თანამოაზრე გყავთ?

— ეკონომიკური რეფორმა, რომელსაც სხვებთან ერთად მეც ვატარებ, პრეზიდენტის პოლიტიკაა. მე ბევრი პრეტენზია მაქვს აღმასრულებელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის არაერთ წარმომადგენელთან, სამინისტროებთან. თავის ფუნქციას ბოლომდე მხოლოდ ეროვნული ბანკი ასრულებდა და ასრულებს.

— ბიზნესმენებმა შადმან-ვალავის წარუდგინეს დოკუმენტი. მასში მოტანილია აქციზები ლუდსა და თამბაქოს ნაწარმზე სხვადასხვა ქვეყნებში და ირკვევა, რომ ყველაზე მაღალი აქციზები საქართველოშია. რას იტყოდით ამის თაობაზე?

— არიან ქვეყნები, სადაც აქციზები უფრო დაბალია ან პირიქით. იგივე ითქმის გადასახადებზეც.

— რით არის გამართლებული საქართველოში ასეთი მაღალი აქციზების დაწესება?

— პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ გადასახადის საშუალო მოცულობა საერთო პროდუქტთან მიმართებაში დაახლოებით 4%-ს შეადგენს. ჩვენ ახლა უნდა განვსაზღვროთ, როგორი სახელმწიფოს აშენება გვინდა. მე იმის მომხრე ვარ, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღოს საზოგადოების დაუცველ ფენებზე ზრუნვა. ამიტომ ეს მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს.

— შეხვედრაზე ყოფილმა პარლამენტარმა პაატა კოლუაშვილმა განაცხადა, რომ თქვენი საგადასახადო პოლიტიკა ხელს უწყობს იმპორტს. თქვენი კომენტარი.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პაატა კოლუაშვილი განათლებით ეკონომისტია. ასეთი განცხადება მის კომპეტენტურობაზე ეჭვს ბადებს. ქვეყანაში არსებობს ხაბაეთ გადასახადები, პლუს დასახარჯები ტრანსპორტირებაზე. თუ შენი წარმოება მუშაობს, არ უნდა არსებობდეს პროდუქციის ადგილზე რეალიზაციის პრობლემა. როგორც ჩანს, აქ საქმე სხვა რამეშია.

— კონკრეტულად რაში?

— დისკუსიას გადასახადების თაობაზე პოლიტიკური შეფერილობა აქვს.

— ეს როგორ გაგიგია?

— დისკუსია გადასახადების შესახებ გამოყენებულ იქნა გასულ წელს, როდესაც საქართველოს STAND by-ს კრედიტი უნდა მიეღო. ეს იყო დაგეგმილი აქცია, რათა კრედიტი არ მოგვეცეს.

— ვის მიერ იყო იგი დაგეგმილი?

— საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ძალზე მაღალი თანამდებობის პირების მიერ. სხვათაშორის, ეს პირები დღესაც მთავრობაში არიან.

— და ეს პოლიტიკა მათ მიერ ახლა ტარდება?

— დიახ, ახლაც.

— რა მიზანს ისახავენ ისინი?

— არსებობს საქართველოს გასვლისა ბის ორი გზა. პირველი, რომელსაც მსოფლიო ბანკთან და საგალუტო ფონდთან ერთად ვახორციელებთ, ემსახურება ნამდვილ, რეალური დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებას საქართველოს ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკაში.

— მეორე?

— მეორე გზა დსთ-ს ბაბაეთ საგადასახადო კავშირებში საქართველოს ინტეგრაციაა. საგალუტო ფონდი ინტეგრაციული წინააღმდეგია. დისკუსია გადასახადების შესახებ სწორედ ამ მეორე გზას ემსახურება. ეს წმინდა პოლიტიკური სპექტაკლია, ხოლო შადმან-ვალავისა ბიზნესმენების შეხვედრა კი ერთ-ერთი სცენა ამ სპექტაკლიდან.

— რამდენად გაელენიანნი არიან ადამიანები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ?

— ძალზე გაელენიანნი. მათ ძალუბთ საკმაოდ სერიოზული დაწოლა. ჩვენ ფიზიკურად ხანაა არ გვქონია ისეთი კრიტიკული სიტუაცია, როგორიც ახლაა.

— თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს მიმდინარეობს ნეგატიური პროცესებისა ლებიც ზედაპირზე არ ჩანს?

— დიახ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო სტაბილიზაციისკენ მიდის, ეს პროცესი მწვავდება და იქითკენ მიდის, რომ შეეუფერხდეთ დსთ-ს ბაბაეთ კავშირს. ეს მოხდება, ჩვენი ურთიერთობები საგალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან დასრულდება.

— საგალუტო ფონდმა უკვე გაუწია ყოველგვარი ურთიერთობა უკრაინასთან, რადგან ამ უკანასკნელმა არ შეასრულა თანამშრომლობის ძირითადი პარამეტრები. მწვავედ დგას საკითხი მოლდოვასა და აზიის რესპუბლიკებთან დაკავშირებითაც.

— შადმან-ვალავის უთხრა ბატონმა ბორის ფაბერმა, რომ მათი წარმოება ან არაეფექტურია, საქართველოსთვის არახელსაყრელი. იქნებ, ბატონ ბორის, ეს ბიზნესმენები ეკონომიკურ თვალთახედვით არიან დამზადებული?

— როდესაც საქმეს კიდევ ბიზნესმენს უნდა ჰქონდეს ზუსტი ბიზნეს-გეგმა, ანგარიში — მოქმედიანი იქნება ეს არა მისი საქმიანობა, უნდა იცოდეს ბაზრის კონიუქტურა და ა.შ. არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ის უზარმაზარი საწარმოები, რომლებიც საბჭოთა სისტემაში არსებობენ, ისევე იფუნქციონირებენ. ძველი ბაზრები გაწყვეტილია და ახლები უნდა აიგოს ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე.

— როგორ წარმოგიდგენია ბატონ ბორის განვითარების პერსპექტივა საქართველოში?

— მომავალი საშუალო და წვრილი მეწარმეობას ეკუთვნის. უნდა მოხდეს მსხვილი საწარმოების რესტრუქტურიზაცია.

— შეიძლება თუ არა ითქვა, რომ მომავალი ის ბიზნესმენებს ეკუთვნის, რომლებიც შადმან-ვალავისთან შეხვედრაზე მიიწვიეთ?

— ის სფეროებს, რომლებშიც ისინი წარმოადგენენ, საქართველოში აქვს პერსპექტივა. მაგრამ ამ ბიზნესმენებმა, ჩანს, ეს მოახერხეს ორიენტირება და სწორი მიმართულების არჩევა. ამის გამო ისინი მსგავსი მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაგრამ შეიძლება ამაში საგალუტო ფონდი დადანაშაულოთ. სამწუხაროდ, ჩვენ ვფიქრობ, ყველაფრის სხვაზე გადაბრალებას.

— რამდენად შეუძლია ასეთი შეხვედრის ამოქმედის საქართველოსა და საგალუტო ფონდის ურთიერთობებზე?

— შეიძლება ხელისუფლებამ შეამჩნიოს, რომ ამ ადამიანებს ეჭიროთ, ეს ადამიანები ფონდსა და მსოფლიო ბანკში უკვე საკმაოდ ხიცხადით დგას საკითხი, გაგრძელდეს ეს არა თანამშრომლობა საქართველოსა.

BG

ენერგეტიკა

«ამერიდან ენერგეტიკა პრივილეგირებულ დარგად გამოცხადდება»

პირველი გვერდიდან

ნიო ელექტროენერგიის მოხმარების. ქვეყნის ენერგოსისტემის ძირითადი მოცულობა ადგილობრივ ენერგიაზე დამოკიდებული. ამ ენერგოსისტემის ეფექტიანობა, ენერგიის ეკონომია, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგომარეობა, ენერგეტიკის ეკონომიკური ეფექტიანობა, ენერგეტიკის ეკოლოგიური ფაქტორი, ენერგეტიკის ადამიანური ფაქტორი, ენერგეტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა, ენერგეტიკის ეროვნული ფასწარმოქმნა, ენერგეტიკის ეროვნული ბაზარი, ენერგეტიკის ეროვნული ფინანსური ბაზა, ენერგეტიკის ეროვნული ადამიანური ბაზა, ენერგეტიკის ეროვნული ინფორმაციული ბაზა, ენერგეტიკის ეროვნული ეკონომიკური ბაზა, ენერგეტიკის ეროვნული ეკოლოგიური ბაზა, ენერგეტიკის ეროვნული ინფრასტრუქტურ

ექსპედიცია

განძი, რომელიც არც დაფლულია და არც დანაწილებას ექვემდებარება

(როგორც ზოგიერთს ჰგონია)

თბილისში, ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში ერთი კვირის განმავლობაში გამოფენილი იყო ტაო-კლარჯეთის არქიტექტურისა და კედლის ფერწერის ბრაფიკული დოკუმენტაცია. გვესაუბრება ბ.ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

ოშკი

— ეს გამოფენა 1994 და 1995 წლებში ტაო-კლარჯეთში ჩატარებული ორი ექსპედიციის შედეგებს ასახავს. ექსპედიციები ეწყობოდა მრავალრიცხოვანი ქართული ეკლესიებისა და მონასტრების გრაფიკულ ფიქსაციას. ჩვენი წინასწარი გეგმა, შეიძლება ითქვას, წარმატებით შესრულდა. რამაც საშუალება მოგვცა, ექსპედიციათა წინაშე უკვე დამუშავებული სახით წარმოგვედგინა ეს.

ექსპედიციები დაფინანსა ბატონი ჩუბინაშვილის ფონდმა. ორგანიზაციულად თანადაფინანსებულ ექსპედიციებს ჯორჯ სოროსის ფონდმა, რომლის სახელზეც ეწოდა „ღია საზოგადოება საქართველო“.

ბოლო ათეული ნაგებობა, რომელთაგან უმრავლესი პირველად აზომილი.

— რას ნიშნავს აზომვა და რითია იგი განსაკუთრებული ამ ანაზომებისგან? ყოველი ნაგებობა შეგვიძლია გადაღებული ფოტო ან ვიდეოფირზე. მაგრამ მასალა ამ ნაგებობის შესახებ დოკუმენტად რომ იქცეს, ეს ფოტოებია აუცილებელია ნაგებობის აზომვა, ანუ შესაძლებელ ფრული ინფორმაციის მოპოვება მის შესახებ. ეს ფოტოებია ეგეგმის აზომვა, ზოგჯერ — რამდენიმე დონეზე. ეკლესიების გაკეთება, ცალკეული არქიტექტურული დეტალების შესრულება. როდესაც ეს სამუშაო ამთავრდება, ამა თუ იმ ძეგლის შესახებ უკვე ამომწურავი ინფორმაცია გვაქვს. ძეგლი რომც დაინგრეს, იგი ალბათ კარგად გაქრება, არამედ იარსებებს მაქსიმალურად ზუსტად აღსაქმელი ფორმით.

ეს რეგიონი დღემდე თითქმის მიუწვდომელი იყო ადგილი მკვლევარებისთვის. ძირითადი მასალა მოგროვილი იყო XIX საუკუნის ბოლოს ალექსანდრე ბენუა-ის მიერ და XX საუკუნის დასაწყისში ეკვთიმე თაყაიშვილის მიერ. ასე ჩვენ ცოდნა ამ უმნიშვნელოვანესი რეგიონების ძირითადად, 100 ასეული მასალას ეფუძნება. ლ.ალ.ბუნას, 60-იანი წლებიდან მოყოლებული, დასავლეთ მკვლევარებისგან მიღებული ინფორმაცია ავსებს ამ შორის განსაკუთრებულ ადგილზეა ვახტანგ ჩოგოშვილი. ეს ადგილი დღეს კი უკვე ... შესაძლებლობის ფარგლებში სრული მასალა ქართველ საზოგადოებისთვის ძალიან კარგად ცნობილი ისეთი ... ძეგლების შესახებ, როგორიცაა ... ხანძთა, შატბერდი, ... ეკლესიის წყაროსთავის სამონასტრო კომპლექსი, ... ხანძთა (შატბერდი), დოლისყანა, ნუკა-საყდარი, ... ციხის ეკლესია და სხვები. ზოგიერთი მათგანი არსებობდა, ან შეიძლება ყოფილიყო ... ერთ ჭრილი, ან ერთი ფოტოსურათი, ან ... აღწერა — ყოველგვარი ვიზუალური მასალის გარეშე. მხოლოდ სახელიც გვხვდებოდა — ... გარეშე.



ხანძთა. ჭრილი, ხედი სამხრეთისკენ

... ეგვითვალისწინებთ, რომ ძეგლები არსებულ ... ში ძალიან სწრაფად ადგურდება, გამოფენ... ... ...

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იყიდება

- გაგარინის მოედანთან ვაზისუბნის ქუჩაზე, აგურის სახლში სამოთახიანი ურემონტო ბინა. ზალა 40 კვ.მ., საძინებლები 18-18, ჰოლი — 12, სამზარეულო 10 კვ.მ., საში ინვანი (იქედან ერთი ვანას უკავშირდება) ტუალეტი, ცალკე საკუჭნაო, გარაჟი (ცხაური), ტელეფონი, სარდაფი. ფასი შეთანხმებით ტელ.: 95-12-53, თათია ან მია.
- კერძო, ორსართულიანი, აგურის სახლი. საცხოვრებელი ფართი 100 კვ.მ., გათბობის ქსელით და წყლის გამაცხელებლით. სუფთა ბინა, სათავსოებით და სარდაფით. 400 კვ.მ. ეზო ხეხილიანი ბაღით. ფასი 30000 ლარი. მისამართი: მეტროშენის დასახლება მთის ძირის ქ. № 70. ტელ.: 39-63-04, ჯანო.
- ოროთახიანი თუბარელის პროექტის ბინა დიდი დიმის მესამე მიკრორაიონში, სკოლის წინ, მე-13 სართულზე. ფასი 15000 ლარი. ტელ.: 51-15-95, 51-14-05, 51-17-10, იკითხეთ ნინო.
- ერთოთახიანი სუფთა ბინა, რკინის კარით. ძეხუთე სართულზე. თემქის დასახლება მე-9 კვარტალი, მე-16 კორპუსი, მეორე სადარბაზო, ბინა 29. ტელ.: 60-57-32, თემური.
- ზონში რუსთაველის ქუჩაზე ორსართულიანი აგურით აშენებული საცხოვრებელი სახლი, დიდი კეთილმოწყობილი ეზოთი, ხეხილის ბაღით. სასმელი და სარწყავი წყლითი უწრუნველყოფილია. ეზოში არის ჭა. ტელ.: 51-71-09.
- სუფთა სამოთახიანი ბინა, საბჭოს მოედანზე. ჩიტაია 27. მეორე სართული, შესასვლელი სადარბაზოდან. დაშენების უფლებით. მანქანის გასაჩერებელი ადგილი, ბუხრით, ტელეფონით, ტელ.: 95-31-45.
- 4-ოთახიანი კერძო ბინა ბელეტაჯზე. მანქანის სადგომით, ნაკვეთი 1600 კვ.მ., ტელეფონით, აეროპორტის დასახლება. ცხვედელიანის ქ № 4. ტელ.: 51-78-53 (მაკა), 38-46-55 (ია), ფასი შეთანხმებით.
- არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა ლოჯიით (21,5+16), მაღალი ჭერით, სუფთა, გარემონტებული, მაღალი ბელეტაჟი, საბურთალოს ბაზართან. ტელ.: 37-34-36, საწყისი ფასი 22 ათასი დოლარი.
- საბურთალოზე იოსებიძის ქუჩაზე 3-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა, ფასი 35000 დოლარი. ტელ.: 37-34-16, 95-66-52.
- სამოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა ორი აივნით, ძეცხრე სართულზე, ტელეფონით, კოსმეტიკური რემონტით, საწყისი ფასი 18000 დოლარი. ტელ.: 96-93-01.
- მიწის ნაკვეთი სოფელ გლდანში 700 კვ.მ. მრავალწლიანი ხეხილით, ყურძნის ხეივნით. სახლი ბელეტაჯზე. ტელ.: 96-93-01.
- სამოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა ორი აივნით მე-9 სართულზე ტელეფონით, კოსმეტიკური რემონტით. საწყისი ფასი 18 000 დოლარი. ტელ.: 96-93-01.
- მიწის ნაკვეთი სოფელ გლდანში 700 კვ.მ. მრავალწლიანი ხეხილით, ყურძნის ხეივნით. სახლი ბელეტაჯზე. ტელ.: 96-93-01.
- ექვსოთახიანი ბინა ორი ტელეფონით, ორი აბაზანით, ვერაზე, პეტრიაშვილის ქუჩაზე, საუკეთესო ადგილ[illegible], საერთო ფართი 160 კვ.მ., მაღალი ბელეტაჟი. ბინა სარემონტოა. ფასი 75000 დოლარი. ტელ.: 32-71-48, 37-79-54, გუგა, ციცო.
- 4-ოთახიანი ბინა ბახტრიონზე, იოთორმომთ. არაორდინალური პროექტით, ბუხრით, სარდაფით. მანქანის გასაჩერებელი ადგილით. ფასი 60 ათასი დოლარი. ტელ.: 37-79-54.
- ერთოთახიანი იზოლირებული ბინა საბურთალოზე. დელისთან, მე-4 სართულზე. ბინა სუფთაა. ფასი 13 ათასი ლარი. ტელ.: 39-30-42, მანანა.
- არასტანდარტული, იზოლირებული, ოროთახიანი ბინა თავისი სარდაფით, ჭავჭავაძის ქ. № 30-ში (პედაგოგიური ინსტიტუტის გვერდით) პირველ სართულზე. ბინა მდებარეობს კორპუსების ეზოში, ცალკე. ფასი 8000 დოლარი. ტელ.: 36-27-07 (დარეკეთ მთელი დღის განმავლობაში, იკითხეთ დათო ან ლუდა).
- საბურთალოზე (ვეძისი) ორსართულიანი სახლი 1000 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, 4 ოთახით, აბაზანით, ტუალეტით, ლოჯიით, ტელეფონით, აუტონომიური გათბობით (ბოილერი), მანქანის დასაყენებელი ადგილით. საწყისი ფასი 80000 დოლარი. ტელ.: 37-18-99.
- საბურთალოზე (ვეძისში) ხეხილიანი ეზოიანი სახლი, ავტონომიური გათბობის (ბოილერი). ორი დიდი ოთახით და ორი პატარა ოთახით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. ფასი 40000 ლარი. ტელ.: 37-18-99.
- სახლი პატარა გლდანში. 2-სართულიანი, კაპიტალური კარგად გარემონტებული, საერთო ფართი 120 კვ.მ., მიწა 600 კვ.მ. 10 წლის ხეხილით. შემოღობილია რკინის ღობით. ტელ.: 39-15-11, ნებისმიერ დროს, იკითხეთ ალბერტი.
- ორი 4-ოთახიანი ბინა ერთ სართულზე. ლოჯიებით, ბუხრებით, მასსარდებით და კაპიტალური გარაჟით. შეიძლება ცალ-ცალკე გაყიდვაც. თამარაშვილის № 11. მეთერთმეტე სართული. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-15-97, 23-20-52.
- წყნეთში ორსართულიანი კორპუსის პირველ სართულზე ოოზხნაბეკრანი იზოლირებული ბინა. საერთო ფართი 45 კვ.მ., სასარდაფე, საბოსტნე და მანქანის სადგომი ადგილებით. ტელეფონით, ბინა ბელეტაჟზეა, კუთხის და მიშენების პერსპექტივით. ტელ.: 29-86-55, 73-78-90.
- კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი, ნაკვეთის საერთო ფართობი 105 კვ.მ., დამხმარე სათავსოები 30 კვ.მ., ვენახით და ხეხილის ბაღით. მეტრო სამგორის რაიონში. მისამართი: ნავთლუღის დასახლება მე-7 ქუჩა № 53 (ვაზისუბნის დასახლების ქვემოთ № 121 სკოლის პირდაპირ). დარეკეთ ნებისმიერ დროს, ტელ.: 78-90-77.
- კაპიტალური სახლი (ბელეტაჟი) გოგანტში ზოოვეტინსტიტუტის ნაკვეთებში მე-8 ქუჩაზე. მატარებლისა და სამარშრუტო მიკროავტობუსების გაჩერებასთან ახლოს. სამი ათასი კვ.მ. მიწის განაშენიანებული ნაკვეთით, კაპიტალური სამეურნეო ნაგებობებით, სარწყავი სისტემით, საქონლითა და ფრინველითა, მეურნეობის ყოველთვიური შემოსავალია 1200-1300 ლარი, ფასი 11500 ლარი. ტელ.: 31-21-52. იკითხეთ თემური.

ხარისხიანად, ნახევარ საათში!



საავტომტო ბარამები

გაზეთ „კავკასიონის“ კომპიუტერული ცენტრი ფასიანი ფოტოგადაღებით.

პეტრიაშვილის 7, ტელ.: 29-48-05

ვიყიდი

- როიალს. ტელ.: 22-46-49.
- ერთოთახიან ბინას დიღმის მასივში. ტელ.: 51-21-90, 51-26-01, იკითხეთ რუსიკო ან გია.
- 2-ოთახიან სუფთა ბინას საბურთალოზე 17 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 39-84-23.
- ერთ ან ოროთახიან ბინას საბურთალოზე, ტელ.: 39-01-81.
- ბოლო დროს გამოშვებულ, კარგ მდგომარეობაში მყოფ „ზაპოროჟეცის“, „ტავრიის“ ან „ოკა-ს“ მარკის ავტომანქანას ხელმისაწვდომ ფასებში. ტელ.: 39-75-58, იკითხეთ შალვა.
- სასწრაფოდ ოროთახიან სუფთა ბინას საბურთალოს ცენტრში (ბახტრიონისა და ანაგის ქუჩების მიდამოებში) 20 ათასი დოლარის ფარგლებში. ტელ.: 37-06-29, იკითხეთ დოდო.
- სანადირო თოფს „იჟ-27ე“ — 12 კალიბრის. ტელ.: 37-52-79 (საღამოს საათებში), 98-81-07 (რამაზი).
- ფერად ტელევიზორს (ნახმარს) კარგ მდგომარეობაში. ტელ.: 23-55-39.
- დუბლიაჟის ქაღალდს დიდი რაოდენობით. დარეკეთ: 38-75-58. იკითხეთ შალვა. დარეკეთ 14 საათიდან.
- ოროთახიან ბინას 10000 ლარის ფარგლებში ტელ.: 23-26-84.
- კალიბრირებულ სოდას და სულფანოლს. ტელ.: 93-89-03. 10-დან 14 საათამდე.

ბინიდან სასწრაფოდ „მერსედეს ბენცი-123“ „102“ ძრავით, ბენზინზე. აბტომატიკა. საუკეთესო მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 29-48-05, იკითხეთ ქარლეტი.

გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»

ქ.თბილისის პრესის გავრცელების ს/ს (ყოფილი სოიუზპეჩატი)

„მაცნე“

აბრძელებს ხელმოწერას ქართულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებზე. ხელმოწერა შეიძლება 1 თვით, 3 თვით, 6 თვით ხელმოწერის რაიონულ უბნებში, შემდეგ მისამართებზე:

1. გურამიშვილის გამზირი №30 ტელ: 60-80-22
2. ივჭავაძიშვილის (ყოფილი კალინინის) ქ.№4 ტელ: 95-87-36
3. ქეთევან წამებულის (ყოფილი შაუმიანის) გამზ. №61 ტელ: 74-14-47
4. წერეთლის გამზირი № 73 ტელ: 343-75-61
5. თამბუკაშვილის ქ.№12
6. ცენტრალურ ოფისში, გამსახურდიას გამზ. №42 ტელ: 37-47-49, 37-61-53, 93-43-97

ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩვენი წარმომადგენლის თავისთან მიწვევა ხელმოწერის გასაფორმებლად.

„მაცნე“, გარანტია ხელმოწერისთვის ჟურნალ-გაზეთების დროული და უდანაკარგო ჩაბარების. ჩვენ კატალოგებში შეტანილ ჟურნალ-გაზეთებს საცალო ვაჭრობაში ვერ იყიდით.

ენდეთ ჩვენს ნახევარსაუკუნოვან გამოცდილებას.

გამოიწერეთ გაზეთი «კავკასიონი»



ავტობირჟა

- ვუყიდი ვაზ 2106 თავისი ძრავით, 12 წლის, კარგ მდგომარეობაში, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-13-13, კარტოზია.
- შევიძენთ ავტომანქანა ზაპოროჟეცს კარგ მდგომარეობაში, 700 ლარის ფარგლებში. ტელ.: 39-75-58, შალვა.
- ვუყიდი ვაზ-21-07 მარკის ავტომანქანას ბეჟი ფერის. 1992 წელს გამოშვებული. ნადგომი. გაკეთილი აქვს 4500 კმ., საუკეთესო მდგომარეობაში. პრაქტიკულად სულ ახალი. ტელ.: 37-09-82. ფასი შეთანხმებით.
- ვუყიდი ა/მანქანას „ტავრია“, 1991 წლის გამოშვება. იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 1500 დოლარი. ტელ.: 93-14-66. იკითხეთ თემური.
- ვუყიდი სასწრაფოდ ავტომანქანა „პეჟო 309“ კარგ მდგომარეობაში, 1986 წლის. გარბენი 87000 კმ., 100 კმ-ზე ხარჯავს 5 ლ. ბენზინს. საწყისი ფასი 6800 ლარი. ტელ.: 31-21-59, 93-53-14.
- ვუყიდი BMW-ს მარკის ავტომობილის ნებისმიერ ნაწილს. დაწვრილებითი ცნობებისთვის დარეკეთ ტელ.: 37-66-41.

ვაქირავებ

შეტრო „აკრეოლიოლთან“ ერთი გაზერეზაში 2 ოთახიან ბინას, მე-13 სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 72-26-20.

- გარემონტებული ბინა ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე. ორი ოთახი საკუთარი გარაჟით ეზოში, ბინის საერთო ფართია 40 კვ.მ. შესასვლელი ჭუჭიდან, ნებისმიერი კომერციული საქმიანობისთვის, შესაძლოა 30 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მიმატება. მისამართი: ბარნოვის 24., კუპრეიშვილი გურამი.
- ექვსი თვით მხოლოდ უცხოელებზე! სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ვერაზე (კოსტავას ქუჩა), უცხოური ავეჯით, ფერადი ტელევიზორით, მაცივრით, კონდიციონერით, ცხელი წყლით და ბალონის გაზით. ფასი 600 ლარი. ტელ.: 29-33-26.
- ოროთახიან ტელეფონიან, ლოჯიან ბინას ნაწილობრივ ავეჯით. მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“, რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან, ხუთსართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. გისოსებით, რკინის კარით. ფასი 250 ლარი. ტელ.: 37-23-78.
- ვაკეში, წყნეთის ქუჩაზე, ოროთახიან იზოლირებულ, ტელეფონიან ბინას. ფასი 190 ლარი. ტელ.: 23-14-61, 22-38-90.
- ვერაზე პეტრიაშვილის ქ. №3-ში 3-ოთახიან ბინაში ერთ ოთახს. ტელ.: 22-11-65. იკითხეთ ნანა. ორ ან ერთ სტუდენტ გოგონაზე, ფასი შეთანხმებით.
- უცხოელებზე ექვსოთახიან, არასტანდარტულ კეთილმოწყობილ ბინას, იმპორტული აეჯით, როიალით, ორი აივნით, აივნიდან ლამაზი ხედით, ორი ტუალეტით, მანქანის დასაყენებელი ადგილით. მეექვსე სართული (ლიფტი მუშაობს). სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზე. 1300 ლარი. ტელ.: 22-03-48, ნანა.
- ოროთახიან იზოლირებულ ბინას ტელეფონით თამარ მეფის გამშირზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 99-09-61, ანი.
- 24 კვ.მ. ფართის ბინას მეტრო „ისანთან“, ფასი 50 ლარი. შირაქის ქ. №34. ტელ.: 74-58-40.
- ოროთახიან ბინას აეჯით. მისამართი: ნუცუბიძის მესამე მიკრორაიონი, მესამე კვარტალი, მე-7 კორპუსი, მე-7 სართული (ყოფილ საბურთალოს რაიკომთან). ტელ.: 36-46-47, 23-41-02.
- სამოთახიან ბინას ოფისისათვის, მეტრო რუსთაველთან, ბარნოვზე პირველი სართული, ტელ.: 98-21-08. ფასი 300 დოლარი.
- ორსართულიან სახლში ერთ ოთახს. მისამართი: საკაძის 63 ა.

ვაქვლი

- ოროთახიან იზოლირებულ ბინას, აივნით მეტრო მარჯანიშვილთან ახლოს დავით აღმაშენებლის 95 ა, მე-2 სართული: ერთ და ოთახნახევრიან ბინაზე, სურვილი გვაქვს გავცვალოთ კგამსახურდიას (ყოფილი პეკინის), მთაწმინდის ან სოლოლაკის რაიონების მიდამოებში. ტელ.: 96-72-01, იკითხეთ რუსუდანი.
- ქუთაისში რუსთაველის პროსპექტზე პრესტიჟული ოთხსართულიანი სახლის მეოთხე სართულზე მდებარე კუთხის ნათელ ოროთახიან (ოთახები 20+15 კვ.მ, მიშენებული ლოჯი — 26 კვ.მ., ჭერი 3,60 სმ), აივნიან, სარდაფიან, ტელეფონიან, პრივატიზებულ ბინას ქთბილისში 1-1,5-ოთახიან ბინაზე ჭალაქის ცენტრალურ რაიონებში. ტელ.: 22-00-46, მია.
- 2-ოთახიან ბინას (ბელინსკის ქ.5), 30 000 ბოთლ შამპანურში. ნუგზარ მაისურაძე.
- ვაჟა-ფშაველაზე ორ გარემონტებულ ბინას — ერთი ოროთახიანი, მეორე — ოთახნახევრიანი, 4 ან 3-ოთახიან ერთ ბინაზე. ტელეფონი: 39-56-93.
- ერთოთახიან ბინას ამოშენებული ლოჯიით 9-სართულიანი სახლის მე-9 სართულზე. ვარკეთილის ზემო პლატოდან (მეტრო ვარკეთილლიდან ერთ კილომეტრში) ვაჟა-ფშაველას IV, III, VI კვარტალში ან ნუცუბიძის პლატოზე. ტელ.: 31-14-58, 73-02-69, 73-59-26. ნინო.

ORBI GEORGIAN AIRWAYS

საქართველოს საჰაერო გზები

ა.წ. 6 მაისიდან ავიაკომპანია „ორბი“ იწყებს ფრენას თბილისი — ბუდაპეშტი — ბერლინის მიმართულებით. გაფრენა თბილისიდან შედგება ყოველი კვირის ორშაბათ დღეს, 16 საათზე.

ა.წ. 9 მაისიდან ავიაკომპანია შეასრულებს დამატებით რეისს თბილისი — სტამბულის მიმართულებით. გაფრენა თბილისიდან შედგება ყოველი კვირის ხუთშაბათ დღეს, 19 საათსა და 30 წუთზე.

ბილეთებისთვის მიმართეთ ავიაკომპანიის საagენტოებს.

სხვადასხვა

- მაქვს ავტობუსი ლაზ 696 ბუნებრივ აირზე, ჭერდება მძღოლი. მსურველმა დარეკოს ტელ.: 39-47-96.
- ვყიდი ახალ ჩეხურ პიანინოს „პეტროფ“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 37-34-36.
- ვყიდი 24-სანთლიან ჭაღს. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-30-37.
- ვყიდი პოლონურ სამზარეულოს აეჯს „ელენა“, კარგ მდგომარეობაში, მაგიდის და სკამების გარეშე. ფასი 500 ლარი. ტელ.: 29-33-25.
- ვყიდი მსოფლიო ლიტერატურის ოთხმოცტომეულის 50 ტომს — ქართულ ენაზე. ფასი 250 ლარი. ტელ.: 29-33-25.
- ვყიდი ზვი ფერის ანტიკვარულ, გერმანულ როიალს „ბეკერს“ (კარგ მდგომარეობაში), ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-32-64, 36-52-00 (ნათელა, საღამოს საათებში).
- ვყიდი სახლის გადასახურავად მოთუთიებულ თუნუქის ფილებს („ცინკის შიფერს“, ორლარანს), ზომა 132X57 სმ, 126 ცალი. თითოეულის ფასია 7,5 ლარი; აეჯის (ან კედლის) მოსაპირკეთებელ დეკორატიულ პლასტიკატს — „ელაპლასტს“, რულონში, რულონის სიგრძეა 44 მეტრი, სიგანე 96 სმ, გრძივი მეტრის ფასია 6 ლარი; ავტომანქანის საბარგულს — კარავს (დაკეცილი საბარგულია, გაშლილი — კარავი), ფასი 250 ლარი. ტელ.: 34-86-51, ზურაბი.
- ვყიდი სახურავის თუნუქის ფილებს. 2,5 მ X 1,1 მ. 32 ცალი. დარეკეთ 6 საათის შემდეგ. ტელ.: 38-14-03. თემური.
- ვყიდი ირანულ გარდერობს, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-30-37, მარინა.
- ვყიდი მანქანას ვაზ 21011 გამოშვებულ 1978 წ. მუშა მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 23-30-37, მარინა.
- ვყიდი 100 გრ. დაფასოებულ, იტალიურ ჰიდროსკოპიულ ბამბას, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 93-33-30.
- ვყიდი ახალ ფაქსს „პანასონიკი KX 130“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-44-98, ლალი.
- ვყიდი ქართული ჟურნალ მექანიკურ საცხობს, უხმარი დანადგარებით. ტელ.: 22-31-34, ვაჟა, 37-30-29, რამინი.
- ვყიდი ოუგოსლავურ კედელს „კონსული“ („უკალოროვკო“, მუხა) კარგ მდგომარეობაში. ფასი 1600 ლარი. ტელ.: 30-44-44.
- ვყიდი ბენზინის კონტეინერს მრიცხველით და ყველა მოწყობილობით, მოცულობა 20000 ლიტრი. ფასი 3000 ლარი. ტელ.: 22-55-69.
- ვასწავლი სალაპარაკო ენას რუსულსა და ინგლისურში. ვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ინგლისურ ენაში. ტელ.: 96-28-94 (8 სთ-ის შემდეგ).
- შევასწავლი იტალიურ ენას ბინაზე მისვლით. [illegible] რგმნი ნებისმიერი სირთულის ტექსტს იტალ[illegible] დან და პირიქით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 61-57, 34-33-71, 18 საათის შემდეგ. იკითხეთ კ[illegible]
- ვყიდი იაპონურ ფართოფორმატიან კრ[illegible] „STAR SG-15“ თავისი დოკუმენტაციი[illegible] მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ.: 34-86-51, ლევანი.
- ვყიდი წიგნების კარადას („სერვანდი“). [illegible] ტერს“ — დასახარ საწერ მაგიდას თარ[illegible] „ტრილიიაჟს“, ხელით საკერავ მანქანას „ზინგერ[illegible] ფასები შესაბამისად 350, 350, 150, 150 [illegible] ტელ.: 98-39-46, 36-07-23.
- მივიღებთ შეკვეთას სადილზე. ტელ.: 39-78-[illegible]
- ვყიდი ალუმინის ფანჯრებს. 3 ც. ტელ.: 39-79-[illegible]
- ვყიდი ცელოფნის საამქროს, მუშა მდგომარ[illegible] ბაში, ბაზრის ტერიტორიაზე. ტელ.: 67-11-[illegible]
- ვყიდი ჩინურ ტრაქტორს ლურჯი ფერის [illegible] ნისძალიანს, ახალს, კომპლექტში მისაბმელი[illegible] თიბელათი, გუთნით, კულტივატორით. ფასი [illegible] ლარი. ტელ.: 37-08-43, რომანი.
- ვყიდი გერმანულ უნივერსალურ სამზარეულ[illegible] ახალ კომბინის. ფასი 150 ლარი. ტელ.: 37-73-13, მანანა.
- ვყიდი სასწრაფოდ, იაფად მუხის ჩანს (საწყ[illegible] და მინის ჭურჭელს (10 ლიტრიანები). ტელ.: 96-57-33.
- ვყიდი თეთრი ფერის ჩეხური კაფელს, 49 კვ.[illegible] შეთანხმებით. ტელ.: 36-07-42.
- ვყიდი შალის გერმანულ ხალიჩას „[illegible] 3,5X2,6, მე-19 საუკუნის ანტიკვარული ჩამოსა[illegible] მოოქროვილი სარკეს. ტელ.: 38-42-14, 37-3[illegible]
- საესტრადო სიმღერისა და ფოლკლორისა[illegible] ნით დაკვრის სწავლის მსურველებს დარ[illegible] ტელ.: 22-03-48, თინიკო.
- ვყიდი გერმანულ ნიველირს (სრული კომპლ[illegible] ტი), ფასი 150 ლარი. ტელ.: 95-75-06.
- ვყიდი ხეხილიან ნაკვეთს ვარკეთილის მეორ[illegible] ბის ტერიტორიაზე. 1500 კვ.მ. ფართობი. [illegible] შეთანხმებით. ტელ.: 71-13-00.
- ვყიდი საკერავ მანქანას „პოდოლსკი“ ფასი [illegible] თანხმებით; რუმინულ კარადას (ნ[illegible] ფასები შეთანხმებით. ტელ.: 73-42-12, [illegible] მაია ან მანანა.
- შევასწავლი კომპიუტერთან მუშაობას ტელ.: 30-32-35, გიორგი.

„საქმშენორგმეტექსი“ გთავაზობთ





ეკონომიური, ეკონომიური, უსაფრთხო, და ეკოლოგიურად სუფთა

თბილი იატაკები თქვენს სახლსა და ოფისში

DEVI

ჭავჭავაძის 17ა, „საქმშენორგმეტექსი“ ტელეფონები: 29-20-20; 96-84-21(საღამოს)



ლიანა (ლია, ლილიკო) თვარაძის ხსოვნას

ლილიკო, თითქოს უნდა შევგუებოდით მოსალოდნელ სიკვდილს შენსას. ავადსახსენებელმა სენმა გაგტანჯა შენც და შენიანებიც, მაგრამ ფაქტს, რომ აღარ ხარ ჩვენს გვერდით ვერა და ვერ შევეგუეთ. ისევ მოვა 57-ე გაზაფხული ჩემო ძვირფასო, მაგრამ უშენოდ და ასე გაივლის წლები. იცხოვრებენ შენი შვილები. დაიზრდებიან შენი პატარა შვილიშვილები. მოგიგონებენ კეთილსა და ტკბილ ბებია დანანებით, მხოლოდ ჩემს ტკივილს და შენი ირას გულისტკივილს ვერ დააყუჩებს ვერაფერი, შენს მონატრებას ვერ შემიცვლის ვერანაირი სიხარული.

ორმოცი დღე იწურება შენი გაუჩინარებიდან. ეს ორმოცი დღე შენი სულის ფარფატს ვგრძნობ ჩემს გვერდით, შენს ოჯახში. თან დამყვება შენი ლამაზი გამოხედვა და ღიმილი.

ციალა თვარაძე



მამა რომანი, დედა რუვი, მეუღლე ნანა, შვილები ირაკლი, რომანი, ძმები ლევან, კახა, და იზა, ნათესავები, ახლობლები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაზა რომანის ძე მურუსიძე

პანაშვიდი 7,8 მაისს 19 საათზე

გამოსვენება ხუთშაბათს, 9 მაისს, 14 საათზე

მისამართი: ზემო ვეძისის ქუჩა 103/8.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ახალი ქართული ენის კათედრა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ფიქრია ნიკოლოზის ასული მაკალათია

პანაშვიდი 7,8 მაისს 4 სთ-ზე, დაკრძალვა 9 მაისს 3 სთ-ზე

მისამართი: ს.ჩიქოვანის ქ. № 26.

ძმისშვილები ავთო, ბ[illegible] ნა, ლიკა კახნაშვილები, დ[illegible] სშვილები თამაზ, ოთარ ბ[illegible] ტაშვილები, მამიდაშვილ[illegible] გია ლოლაძე, ბიძაშვილებ[illegible] ლონდა, ქეთინო კახნაშვ[illegible] ლები, ლუიზა, მზია, ც[illegible] არჩილ კვინიკაძეები, ო[illegible] ბონდო წაქაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარლენ ეგზენის ძე კვინიკაძე

კროსვორდი

თარაზულად: 1. დრამატული ნაწარმოები სცენაზე წარმოსადგენად; 3. მცირედ ჩაღრმავებული ტარიანი მოგრძო იარაღი სითხის, ფაფისა და წვნიანი საჭმელის ასაღებად; 5. მოდის ბრმად მიმდევარი ადამიანი; 7. კომუნისტური გაზეთი; 8. განათების სისტემა სცენისთვის; 10. ჯაზის ამერიკელი მომღერალი ქალის სახელი; 12. ალყაზბეგის ნაწარმოების პერსონაჟი; 14. გარეული ცხოველი; 15. საბერძნეთის ძველი სახელწოდება; 16. ბოსტნეული; 18. მაღალი თანამდებობის პირის მხლებლები; 20. უძრავი ქონების დროებითი დაქირავება სათანადო ხელშეკრულებით; 21. საშუალო ან მაღალი ძვირფასმერქნიანი ხე; 22. შეიარაღებული ძალები სახელმწიფოში; 23. თხელი ტალახი, ლაფი; 25. ეკლესია დასავლეთ საქართველოში; 26. რეგვენი, ბრიყვი; 27. თვალის ფერადი გარსი.

შვეულად: 1. ჯილდო; 2. ცირკის მოედანი; 3. ნარმართული ღვთაების ქანდაკება; 4. მშვილდით სატყორცნი მახვილნვეტრიანი ნერილი ჯოხი; 5. ორი ზღვის ან ოკეანის შემაერთებელი წყლის ვიწრო სივრცე; 6. ქალის სახელი; 8. ნრეხაზის ან მრუდი ხაზის ნანილი; 9. ქსოვილის კიდეებზე მოვლებული ზოლი; 10. სურნელოვანი ნივთიერება; 11. დროშა; 12. ქართული მისამღერი სიტყვა; 13. საზოგადოების საუკეთესო ნანილი; 16. ამერიკელი მსახიობი კაცი; 17. შემოდგომაზე ნათესი ხორბალი (საბა); 18. შავი ზღვისპირა კურორტი; 19. ვისაც რამე არ უნდა შეერგოს; 23. ველოდროში; 24. ერთად მცხოვრებ ნათესავთა ჯგუფი.



დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.